საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის საჯარო სამართლის ლაბორატორიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი.

1. საჯარო სამართლის ლაბორატორია (შემდგომ ტექსტში - ლაბორატორია) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის სამეცნიერო - კვლევითი სტრუქტურული ერთეული.
2. ლაბორატორია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე.
3. ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ და წარმართავენ ფაკულტეტის დეკანატი, სამართლის დეპარტამენტი და ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

მუხლი 2. საჯარო სამართლის ლაბორატორიის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი.

1. ლაბორატორიის მიზნებია:
   - საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
   - საჯარო სამართლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობა;
   - საჯარო სამსახურის სისტემისა და მისი გამართული (ეფექტური) ფუნქციონირების ხელშეწყობა;
   - სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ხელშეწყობა;
   - საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში საჯარო სამართლის სწავლების სრულყოფა;
   - საქართველოს მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერებისგაღრმავებისა და კულტურის ამაღლების ხელშეწყობა.
2. ამ მიზნების მისაღწევად ლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
   - საჯარო სამართლის კანონმდებლობის სფეროში საკანონმდებლო წინადადებათა მომზადება და შესაბამის ორგანოებში წარდგენა;
   - საჯარო სამართლის კანონპროექტების მომზადება-განხილვაში მონაწილეობა და საექსპერტო დასკვნების მომზადება;
   - საჯარო მოსამსახურეთა და მოხელეთა პროფესიული განვითარების განხორციელება;
   - მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის, ზოგადი საგანმანათლებლო-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
   - საჯარო სამართლის სფეროში ფუნდამენტური და სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ჩატარება;

- მოწინავე სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოების საჯარო სამართლის კანონმდებლობისა და ამ სფეროში არსებული საყოველთაოდ აღიარებული სასწავლო, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო ლიტერატურის ქართული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- საჯარო სამართლის სფეროში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;
- კონსტიტუციონალიზმის დარბაზის ექსპოზიციის პერიოდული განახლება, მისი ტრენინგებისა და კონფერენციებისათვის გამოყენება;
- ფაკულტეტის საჭიროებისათვის სასწავლო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნა;
- აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოელ მკვლევრებთან, ექსპერტებთან და საჯარო სამსახურის სისტემის მაღალი რანგის პირებთან.

მუხლი 3. საჯარო სამართლის ლაბორატორიის სტრუქტურა.

1. ლაბორატორიის სტრუქტურული ერთეულია კონსტიტუციონალიზმის დარბაზი.
2. ლაბორატორიის პერსონალურ შემადგენლობას შეადგენენ ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ერთი მთავარი სპეციალისტი და ორი სპეციალისტი.

მუხლი 4. კონსტიტუციონალიზმის დარბაზი

1. კონსტიტუციონალიზმის დარბაზი წარმოადგენს მსოფლიო და საქართველოს კონსტიტუციონალიზმის სიმბოლიკის, ნორმატიულ წყაროთა და ლიტერატურის ამსახველ ექსპოზიციას.
2. კონსტიტუციონალიზმის დარბაზს გააჩნია საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანიშნულება.
3. პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ მაინც, კონსტიტუციონალიზმის დარბაზს ეწვევა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი, რომელთაც ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ პრეზენტაციის ფორმატში ჩაუტარდება მინი-ლექცია, მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართება აზრთა ურთიერთგაზიარება.
4. კონსტიტუციონალიზმის დარბაზში სასურველია ფაკულტეტის სასწავლო განრიგით გათვალისწინებული კონსტიტუციური სამნართლის მეცადინეობების, კონფერენციების, ტრენინგების ჩატარება.

მუხლი 5. საჯარო სამართლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

1. ლაბორატორიის ხელმძღვანელს ბიზნეს-ინჟინერინგის სამართლის დეპარტამენტის წარდგინებით თანამდებობაზე 4 წლის ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭო.
2. ლაბორატორიის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.
3. ლაბორატორიის ხელმძღვანელი:
   - ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს ლაბორატორიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;
   - ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ლაბორატორიის კვლევითი ნსაქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

- ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების დაფინანსებასა და მატერეიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- ხელს უწყობს ლაბორატორიის კონტაქტების დამყარებას საქართველოსა და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო, კვლევითი და საჯარო სამსახურის დაწესებულებებთან;
- თანამდებობაზე ნიშნავს კონსტიტუციონალიზმის დარბაზის ხელმძღვანელსა და ინსტიტუტის მდივანს, უზრუნველყოფს სხვა კადრების მომზადებას და თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას;
- ორგანიზებას უწევს იურიდიული ჟურნალისა და სხვა სახის პუბლიკაციათა გამოქვეყნებას;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დასამტკიცებლად ფაკულტეტის დეკანატთან შეთანხმებით ადგენს ლაბორატორიის საშტატო განრიგის პროექტს, ხელმძღვანელობს ადამიანითა რესურსის ეფექტურად გამოყენებას;
- წარმოადგენს ლაბორატორიას გარე ურთიერთობებში.

მუხლი 6. საჯარო სამართლის ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტა

1.ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს.

2.ლაბორატორიის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ქონება რჩება საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში.

სამართლის დეპარტამენტის უფროსი
სამართლის დოქტორი, პროფესორი ირაკლი გაბისონია

სამართლის დეპარტამენტი